N 6964-02
11/08/2017

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ დავით ჯიქიას

ბატონო დავით,

თქვენი 2017 წლის 27 ივლისის №6656-02 წერილის პასუხად, „ფაქტ-მეტრის“ რეგიონალური ანალიტიკოსის 2017 წლის 25 ივლისის №1599/02 წერილით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით, კერძოდ: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გათავისუფლებული და სამსახურში აღდგენილი მოხელის რაოდენობისა და დაკისრებული კომპენსაციის ოდენობის შესახებ, გიზუსტებთ პასუხს:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამსახურში აღდგენასთნ დაკავშირებით ჰქონდა ერთი სასამართლო დავა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 03 ოქტომბრის №279 ბრძნების საფუძველზე გათავისუფლებულ იქნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთ კოლეგიის 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3/18-15.) და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/698-15.) - მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთნ დაკავშირებით არ დაკმაყოფილებულა;

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთ კოლეგიის 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3/18-15.) მოპასუხე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 03.10.2014 წლიდან 31.12.2014 წლამდე პერიოდისათვის განაცდური დაუბეგრავი ხელფასი 2160.49 ლარის გადახდა; ასევე მოპასუხე მხარეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ საპროცესო ხარჯის სახით 1272.17 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, (საქმე №3ბ/698-15.) რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპელანტის (მოსარჩელის) სასარგებლოდ დაეკისრა პროცესის ხარჯი - სასამართლო გარეშე ხარჯის სახით ადვოკატის დახმარებისათვის 2400 ლარის ანაზღურება, ასევე სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის სახით 136.70 ლარის ანაზღაურება.

პატივისცემით,

ნინო ლომიძე

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო